ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№38

ქ. თბილისი; 25 იანვარი 2019 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ქეთევან მამულაშვილი
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი

- მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრასპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მერაბ მამულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე - თამარ ტალიაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. "ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუს N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. "ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქ. თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ /ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ, I სართულზე 58.07 კვ.მ)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართით 33.81 კვ.მ) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 8520.00

კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის" (ს/კ: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21-დან-32-ის ჩათვლით:

"ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ";

"ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ";

"ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ";

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ"

„ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ";

„ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

„ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

„ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთანარსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“;

„ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ“;

„ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.**

33. ”ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22) ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მე-13 მუხლით დამტკიცებული ქვეპროგრამის - **„საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“** აღწერილობითი ნაწილი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს:

M_2 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი მგზავრობის ფასის გათვალისწინებით, ქვემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებზე შეღავათიანი, 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მინიჭება და ამ შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად, თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) **თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის:**

ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში;

გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

დ) სამხედრო ძალების ვეტერანები;

ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო

მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები;

ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები“.

მერაბ მამულაშვილმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა, ქ. თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების მიღების აუცილებლობა. **ასევე განმარტა, რომ** პროექტის ამოქმედებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ** სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტი მიეთითოს შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი“.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ **მერაბ მამულაშვილმა**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-47** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი განცხადებებისა და დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული არაერთი ზარით, მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსის (M_2 კატეგორია) დამატებითი გაჩერებების დაწესებას, ამასთან, ქუჩების სახელდებაში განხორციელებული ცვლილებების გამო, საჭიროება გაჩნდა, მარშრუტების გზასავალზე არსებული ქუჩების დასახელებებში შესაბამისი ცვლილებები შესულიყო. შესაბამისად, მითითებულ მიზეზთა გამო, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით **ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტებში** შედის შემდეგ ცვლილებები:

1. მარშრუტი #2; მარშრუტი #4; მარშრუტები #6 და #7; მარშრუტი #10; მარშრუტი #13; მარშრუტი #14; მარშრუტი #15; მარშრუტი #17; მარშრუტი #19; მარშრუტი #21; მარშრუტი #26; მარშრუტი #27; მარშრუტი #28; მარშრუტი #30; მარშრუტი #34; მარშრუტი #35; მარშრუტი #37; მარშრუტი #38; მარშრუტი #41; მარშრუტი #46; მარშრუტი #50; მარშრუტი #51; მარშრუტი #57; მარშრუტი #58; მარშრუტი #61; მარშრუტი #62; მარშრუტი #66; მარშრუტი #72; მარშრუტი #73; მარშრუტი #75; მარშრუტი #78; მარშრუტი #80; მარშრუტი #81; მარშრუტი #83; მარშრუტი #88; მარშრუტი #89; მარშრუტი #100; მარშრუტი #102; მარშრუტი #107; მარშრუტი #109; მარშრუტი #123; მარშრუტი #113; მარშრუტი #117; მარშრუტი #119; მარშრუტი #120; მარშრუტი #122; მარშრუტი #123; მარშრუტი #124; მარშრუტი #128; მარშრუტი #131; მარშრუტი #132; მარშრუტი #135; მარშრუტი #137; მარშრუტი #138; მარშრუტი #140; მარშრუტი #141; მარშრუტი #145; მარშრუტი #146; მარშრუტი #147; მარშრუტი #149; მარშრუტი #150; მარშრუტი #154; მარშრუტი #155; მარშრუტი #159; მარშრუტი #160; მარშრუტი #162; მარშრუტი #167; მარშრუტი #169; მარშრუტი #170; მარშრუტი #171; მარშრუტი #175; მარშრუტი #176; მარშრუტი #177; მარშრუტი #179; მარშრუტი #180; მარშრუტი #183; მარშრუტი #184; მარშრუტი #185; მარშრუტი #191; მარშრუტი #192; მარშრუტი #194; მარშრუტი #195; მარშრუტი #198; მარშრუტი #199; მარშრუტი #200; მარშრუტი #202; მარშრუტი #205; მარშრუტი #210; მარშრუტი #212; მარშრუტი #217; მარშრუტი #218; მარშრუტი #220; მარშრუტი #221; მარშრუტი #226; მარშრუტი #64.

ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ასევე** ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- №56 და №178 მარშრუტები ამოღებული იქნებიან სქემიდან;
- №159 მარშრუტი გაერთიანდება №178 მარშრუტთან და მარშრუტის ნომრად დარჩება №159;
- ემატება ერთი ახალი მარშრუტი №69, რაც იმოძრავებს მ/ს „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით; მარშრუტზე მანქანების მაქსიმალური რაოდენობაა - 3 მიკროავტობუსი, მინიმალურია - 1 მიკროავტობუსი. მგზავრობის ღირებულება შეადგენს 0.6 ლარს;
- ასევე, **მარშრუტებზე** შეიცვლება ყოველდღიურად **მომუშავე მანქანების მაქსიმალური** რაოდენობები, კერძოდ:

  №71 მარშრუტზე-7 ერთეული-8 ერთეულით; №83 მარშრუტზე-10 ერთეული-11 ერთეულით; №93 მარშრუტზე-4 ერთეული- 5 ერთეულით; №95 მარშრუტზე-4

ერთეული - 5 ერთეულით; №115 მარშრუტზე - 2 ერთეული - 3 ერთეულით; №117 მარშრუტზე - 29 ერთეული - 30 ერთეულით; №119 მარშრუტზე-9 ერთეული - 10 ერთეულით; №123 მარშრუტზე - 2 ერთეული-3 ერთეულით; №141 მარშრუტზე 22 ერთეული-9 ერთეულით; №165 მარშრუტზე 16 ერთეული -17 ერთეულით; №183 მარშრუტზე-11 ერთეული-13 ერთეულით; №190 მარშრუტზე 3 ერთეული-4 ერთეულით; №194 მარშრუტზე-8 ერთეული-9 ერთეულით; №223 მარშრუტზე-3 ერთეული-4 ერთეულით.

მერაბ მამულაშვილმა განავრცო წარმოდგენილი დადგენილების პროექტით განსახორციელებელი ცვლილები და დეტალურად ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- **M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის, განისაზღვრება დამატებითი გაჩერებები შემდეგ მისამართებზე:**

  ვახტანგ გორგასალის და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ; დავით აღმაშენებლის ხეივანი, „ბელუქსი"-ს მიმდებარედ; ვახტანგ გორგასალის ქუჩა №87-ის მიმდებარედ; კახეთის გზატკეცილი №63-ის მიმდებარედ.

- **დედაქალაქში მიმდინარე ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მგზავრთა კომფორტული მომსახურების მიზნით ხორციელდება ავტობუსის გაჩერებების ადგილმონაცვლეობა, კერძოდ:**

  კახეთის გზატკეცილზე, მ/ს „სამგორის" ზედა გასასვლელის გაჩერება გადავიდა კახეთის გზატკეცილი №13-ში;
  ჟიული შარტავას ქუჩა №29ა-ს მიმდებარედ არსებული გაჩერება გადავიდა ჟიული შარტავას ქუჩა №20-ის პირდაპირ;
  ჟიული შარტავას ქუჩა №38-ის მიმდებარედ არსებული გაჩერება გადავიდა ჟიული შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ;
  ჟიული შარტავას ქუჩა №38-ის პირდაპირ არსებული გაჩერება გადავიდა ჟიული შარტავას ქუჩა №42-ის მოპირდაპირედ;
  პეკინის გამზირი №3-ში არსებული გაჩერება გადავიდა პეკინის გამზირი №5-ში;
  დავით აღმაშენებლის გამზირზე №130-ის მიმდებარედ არსებული გაჩერების ნაცვლად განისაზღვრა დავით აღმაშენებლის გამზირი №136;
  პეკინის გამზირი №36-ში გაუქმდა გაჩერება და განისაზღვრა პეკინის გამზირი №37-ის პირდაპირ (ვაჟა ფშაველას გამზ. გადაკეთა);

- **ასევე, ზუსტდება ავტობუსის გაჩერებების დასახელება/მისამართები:**

  ჩანაწერები- „თტ უნივერსიტეტი" შეიცვლება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტით; მ/ს „ტექნიკური უნივერსიტეტი"-ს ნაცვლად - პეკინის გამზირის და ბახტრიონის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ; მ/ს „ვაჟა-ფშაველას გამზირი"-ის ნაცვლად-ვაჟა ფშაველას გამზირი №76ბ-ს მიმდებარედ; ილია ჭავჭავაძის გამზირი №54-ის ნაცვლად - ილია ჭავჭავაძის გამზირი №54; უცხო ენების უნივერსიტეტი-ის ნაცვლად-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ჭავჭავაძის გამზირი, სპორტის აკადემიის ნაცვლად- ილია ჭავჭავაძის გამზირი №49-ის მიმდებარედ; „ილია ჭავჭავაძის გამზირი, ვაკის საცურაო აუზის მიმდებარედ" შეიცვალა - ილია ჭავჭავაძის

გამზირი №49ა-ს მიმდებარედ; ავტობუსის გაჩერება: „ვაკის საცურაო აუზის მოპირდაპირედ“ შეიცვალა - ილია ჭავჭავაძის გამზირი №49ა-ს მოპირდაპირედ;

- **ამასთან, იცვლება დასათაურება M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის** დადგენილ გაჩერებებზე, კერძოდ: „ავტობუსის გაჩერებები“-ს ნაცვლად ჩაიწერება - „M2 კატეგორიის მარშრუტებზე, სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისთვის დადგენილი M3 კატეგორიის ავტობუსის გაჩერების ადგილმდებარეობები“.

მერაბ მამულაშვილმა მოხსენების **დასასრულისაკენ დაამატა,** რომ დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ **წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებელს** შეახსენა, კრწანისის რაიონში, გარკვეული მიზეზის გამო, ერთ-ერთი სამარშრუტო ხაზის გაუქმების საკითხი და აღნიშნა, მოსახლეობის პოზიცია მითითებულთან დაკავშირებით. ამასთან, ყურადღება გაამახვილა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ოქროყანის ტერიტორიაზე, რიგ ადგილებში, ავტობუსის გაჩერების არარსებობის პრობლემაზე.

მერაბ მამულაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს საქმიანობას, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების მოსახლეობისათვის ეფექტურად მიწოდების უზრუნველსაყოფად, ასევე, დაამატა, რომ კრწანისის რაიონში არსებული სამარშრუტო ხაზი ხასიათდებოდა მგზავრთა ნაკადის სიმცირით და ეკონომიკური თვალსაზრისით, იყო არარენტაბელური. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ოქროყანაში შესაბამის მონაკვეთზე, ავტობუსის გაჩერების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს სამუშაოები აქტიურ რეჟიმში.

კომისიის წევრმა ნინო ლაცაბიძემ ხაზი გაუსვა, მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას, შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვის პროცესში და სურვილი გამოთქვა, ამ მხრივ, უფრო მეტი პრაქტიკული შემთხვევა არსებობდეს.

მერაბ მამულაშვილი მიესალმა კომისიის წევრის ნინო ლაცაბიძის მიერ მითითებულ მოსაზრებას და მზაობა გამოთქვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;**
- გარდა ამისა, პროექტის პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვა **„დეკემბრის“** და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო“-ს** წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა

და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მერაბ მამულაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, N170 მარშრუტის კუს ტბის გადასახვევიდან, ილია ჭავჭავაძის გამზირი N83-ის მიმართულებით გაგრძელება. ხოლო, N56 მარშრუტი, რომელიც ვაკის სასაფლაოდან, მოკლე მანძილით ახორციელებდა იდენტურ მოძრაობას, ილია ჭავჭავაძის გამზირი N83 მიმართულებით, მგზავრთნაკადის გადანაწილებით, უფუნქციო გახდა და საჭირო გახდა აღნიშნული N56 მარშრუტის სქემიდან ამოღება.

ბ) მარშრუტები N159 და N178 გაერთიანდა და დარჩა მარშრუტი ნომრით - „159“.

გ) შედგენილ იქნა მოძრაობის ახალი მარშრუტის სქემა, ნომრით - „69“, მ/ს „300 არაგველი“-ს მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით, ხოლო, მგზავრობის ტარიფად გათვალისწინებულ იქნა 0,6 ლარი.

მომხსენებელმა განმარტა რომ ზემოაღნიშნულ მიზეზთა გათვალისწინებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ცვლილებათა განხორციელებას შემდეგი სახით:

ა) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან ხდება „დ.ე“ ქვეპუნტის ამოღება, სადაც მითითებული იყო N56 მარშრუტი, ტარიფით - 0,6 ლარი;

ბ) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტიდან ხდება N178 მარშრუტის ამოღება, „ე.დ“ ქვეპუნქტს ემატება N69 მარშრუტი და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ე.გ“) N159 მარშრუტზე - 0,7 ლარის ოდენობით;

„ე.დ“) NN69, 123, 194, 212 მარშრუტებზე - 0,6 ლარის ოდენობით.“

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, პროექტის პრეამბულადან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნტი, ხოლო, პროექტის აღნიშნულ ნაწილში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, მტკიცდება:

- საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი, დანართი N1 შესაბამისად;
- საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალი და მათზე ავტობუსების (M3 კატეგორია) გაჩერებების ადგილები, სადაც, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსები (M3 კატეგორია) გაჩერდებიან, დანართი №2-ს შესაბამისად.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ ქ. თბილისის მერიას წარედგინა, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის წერილი, რომელსაც თან დაერთო ქ. რუსთავის

საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ლევან ონიანის წერილი, რითაც მან თხოვნით მიმართა ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს - გიორგი ტყემალაძეს, ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების სატრანსპორტო მომსახურებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ რუსთავიდან საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მ/ს „ისნამდე" მოძრაობის განხორციელების მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის დამტკიცების საკითხზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მთავრობამ, დედაქალაქის საკრებულოსთან წარმოადგინა პროექტი, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დადგენასთან დაკავშირებით და მარშრუტის მოძრაობის სქემა განისაზღვრა შემდეგი სახით:

- მარშრუტი: რუსთავის გზატკეცილი-ვახტანგ გორგასლის ქუჩა-დიმიტრი გულიას მოედანი- დიმიტრი გულიას ქუჩა-რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა- ნავთლუღის ქუჩა-ვაჟა ჩაჩავას ქ.-აწყურის ქ. - კახეთის I შესახვევი - ნავთლუღის ქ. (N6/2-ის მოპირდაპირედ).
- უკუმიმართულებით: ნავთლუღის ქ. (N6/2-ის მოპირდაპირედ)-ნავთლუღის ქუჩა-რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა-დიმიტრი გულიას ქუჩა-გულიას მოედანი-ვახტანგ გორგასლის ქუჩა-რუსთავის გზატკეცილი;

მერაბ მამულაშვილმა მიუთითა, რომ მარშრუტზე მოძრაობის პერიოდში, ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებისა და მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების მიზნით, მგზავრების ჩამოსმა-აყვანა საჭიროა განახორციელონ ზემოაღნიშნულ ქუჩებზე M3 კატეგორიის მარშრუტებისთვის განსაზღვრულ გაჩერებებზე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვით, ამასთან, აღნიშნა, რომ, დანართი N2-ს სახით, წარმოდგენილია, მარშრუტის მოძრაობის გზასავალზე განსაზღვრული ავტობუსის შემდეგი გაჩერებები, M3 კატეგორიის მარშრუტებზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებისთვის:

რუსთავის გზატკეცილი (ქვემო ფონიჭალის დასახლება):

1. რუსთავის გზატკეცილი #5-ის მიმდებარედ;
2. რუსთავის გზატკეცილი #59-ის მიმდებარედ;
3. რუსთავის გზატკეცილი #117-ის მიმდებარედ;
4. რუსთავის გზატკეცილი #235-ის მიმდებარედ;
5. რუსთავის გზატკეცილი #34-ის მოპირდაპირედ;
6. რუსთავის გზატკეცილი #257-ის მიმდებარედ;
7. რუსთავის გზატკეცილი, კორპუსი #19-ის მიმდებარედ;
8. რუსთავის გზატკეცილის და იეთიმ გურჯის ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ;
9. რუსთავის გზატკეცილის და აფხაზეთის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
10. რუსთავის გზატკეცილის და გულბანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;

11. რუსთავის გზატკეცილის და აფხაზეთის ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ;
12. რუსთავის გზატკეცილის და იეთიმ გურჯის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ;
13. რუსთავის გზატკეცილი #50-ის მიმდებარედ;
14. რუსთავის გზატკეცილი #257-ის მოპირდაპირედ;
15. რუსთავის გზატკეცილი #34-ის მიმდებარედ;
16. რუსთავის გზატკეცილი #28-ის მიმდებარედ;
17. რუსთავის გზატკეცილი #20-ის მიმდებარედ;
18. რუსთავის გზატკეცილი #119-ის მოპირდაპირედ;
19. რუსთავის გზატკეცილი #14-ის მიმდებარედ;
20. რუსთავის გზატკეცილი #6-ის მიმდებარედ.

ვახტანგ გორგასალის ქუჩა:

1. ვახტანგ გორგასალის ქ. #79-ის მიმდებარედ;
2. ვახტანგ გორგასალის ქ. #87-ის მიმდებარედ;
3. ვახტანგ გორგასალის ქ. #93-ის მიმდებარედ;
4. ვახტანგ გორგასალის ქ. #101-ის მიმდებარედ;
5. ვახტანგ გორგასალის ქ. #111"ა"-ს მიმდებარედ;
6. ვახტანგ გორგასალის ქ. #113-ის მიმდებარედ;
7. ვახტანგ გორგასალის ქ. #115-ის მიმდებარედ;
8. ვახტანგ გორგასალის ქ. #115-ის მიმდებარედ;
9. ვახტანგ გორგასალის ქ. #52-ის მოპირდაპირედ;
10. ვახტანგ გორგასალის ქ. #52-ის მოპირდაპირედ;
11. ვახტანგ გორგასალის ქ. #115-ის მიმდებარედ;
12. ვახტანგ გორგასალის ქ. #115-ის მიმდებარედ;
13. ვახტანგ გორგასალის ქ. #113-ის მოპირდაპირედ;
14. ვახტანგ გორგასალის ქ. #111"ა"-ს მოპირდაპირედ;
15. ვახტანგ გორგასალის ქ. #101-ის მოპირდაპირედ;
16. ვახტანგ გორგასალის ქ. #93-ის მოპირდაპირედ;
17. ვახტანგ გორგასალის ქ. #87-ის მოპირდაპირედ;
18. გულიას მოპედანი #4-ის მიმდებარედ.

გულიას ქუჩა: გულიას ქ. #1და გულიას ქ. #1-ის მოპირდაპირედ;

რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა: რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. #5-ის მიმდებარედ; რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. #13-ის მიმდებარედ; რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. #13-ის მოპირდაპირედ; რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. #5-ის მოპირდაპირედ.

ნავთლუღის ქუჩა: ნავთლუღის ქ. #10-ის მიმდებარედ; ნავთლუღის ქ. #6/2-ის მიმდებარედ; ნავთლუღის ქ. #6/2-ის მოპირდაპირედ; ნავთლუღის ქ. #31-ის მიმდებარედ.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ნინო ლაცაბიძემ ისაუბრა, პროექტით წარმოდგენილ მარშრუტებთან დაკავშირებით და ივარაუდა, რომ რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზის ძირითადი მოსარგებლე პირები იქნებიან სტუდენტები, რომლებისთვისაც, თბილისის ტერიტორიაზე, ავტობუსების ბოლო გაჩერება შესაძლოა მოუხერხებელი აღმოჩნდეს, მიმდებარე მონაკვეთის მჭიდრო ურბანული განვითარების გამო. ნინო ლაცაბიძემ ასევე ხაზი გაუსვა, ავტობუსის გაჩერების ბოლო ადგილზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების (რეტერატები) არსებობის საკითხს.

მერაბ მამულაშვილმა, კომისიის წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, მიუთითა, რომ პროექტით წარმოდგენილი მარშრუტი შედგენილ იქნა კომპანია „სისტრა"-ს რეკომენდაციის და ქალაქ რუსთავის მერიასთან კონსულტაციის შედეგად და არსებული რეალობის გათვალისწინებით, მიღებული იქნა მოსახლეობის ინტერესებზე ყველაზე უფრო მეტად მორგებული სქემა. ასევე, დასძინა, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე, ავტობუსის ბოლო გაჩერების ადგილზე უნდა მოეწყოს შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები, სატრანსპორტო დგომა/მოძრაობის საკითხის ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა,** რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა **სერგო ბირკაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურში, რომლის ერთ-ერთი ფუნქციას წარმოადგენს, თბილისის მერიაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება.

სერგო ბირკაძემ დაამატა, რომ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები რაოდენობრივად საკმაოდ მაღალ ნიშნულზეა, შესაბამისად, მიმდინარე და დაგროვილი ადმინისტრაციული საჩივრების დროულად განხილვის მიზნით, ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, იურიდიული საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხაში შევიდეს ცვლილება და სამსახურს დაემატოს, მოხელეთა გარკვეული რაოდენობა, კერძოდ:

ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებას ემატება:

- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 თანამდებობა (თანამდებობრივი სარგო 1500 ლარი) და განისაზღვრება 3 ერთეულით,
- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების რაოდენობა იზრდება 2 ერთეულით (თანამდებობრივი სარგო 1300 ლარი) და განისაზღვრება 10 ერთეულით.

სერგო ბირკაძემ დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული ხარჯების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ნინო ლაცაბიძემ მომხსენებლის მისამართით დასვა შეკითხვა, იურიდიულ საქალაქო სამსახურში, მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდის შემდეგ, რა დრო დასჭირდება, დღეის მდგომარეობამდე დაგროვებული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვას.

სერგო ბირკაძემ კომისიის წევრის შეკითხვასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დღეის მდგომარეობის, დაახლოებით, დაგორვებული საჩივრების რაოდენობა შეადგენს 1500-მდე (ათას ხუთასი) ერთეულს, საიდანაც, სამსახურში დასაქმებულ თითოეულ მოსამსახურეს საშუალოდ ეკალება 170-180 საჩივრის შესწავლა, ხოლო, თანამშრომელთა გაზრდილი რესურსით შესაძლოა დაგროვებული საჩივრები სრულად იქნას ამოწურული მიმდინარე წლის ბოლომდე.

ასევე, კომისიის წევრმა, ლილე ლიპარტელიანმა მომხსენებლის მისამართით დასვა შეკითხვა, არსებობს თუ არა შინაარსობრივად ერთგვაროვანი სახის საჩივრები და განსახილველად მოიყვანა ერთ-ერთი შემთხვევა, სადაც, შესაბამისი გამგეობის მიერ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის, თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხზე გაცემული უარი, გასაჩივრებულ იქნა იურიდულ საქალაქო სამსახურში, რომელმაც განსახილველად საჩივარი უკან დაუბრუნა შესაბამის გამგეობას, ხოლო ამ უკანასკნელმა, განმცხადებლებისთვის, კვლავ არადამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

სერგო ბირკაძემ კომისიის წევრის მიერ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაგროვებულ საჩივრებს შორის, ერთგვაროვანი სახის საჩივრებით გამოირჩევა ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინსპექციისა და სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მისამართით შედგენილი საჩივრები. ამასთან, კომისიის წევრის მიერ მოყვანილ მაგალითთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიმღები ორგანოსათვის ადმინისტარციული საჩივრის დაბრუნება წარმოადგენს სამართლებივი პროცესის ერთ-ერთი დამახასიათებელ რუტინას და ემსახურება, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, გადაწყვეტილების სრულყოფილ არგუმენტებზე დაყრდნობას.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო“-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2018 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2019 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გავალისწინებით.

გაიოზ თალაკვაძემ დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 72 650,3 ათასი ლარით და შეადგენს 1 000 281,8 ათას ლარს, მათ შორის სხვა შემოსავლები იზრდება - 9 500,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 1 000,0 ათასი ლარით და ნაშთის ცვლილება - 62 150,3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი 57 804,9 ათასი ლარი და 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან არსებული ნაშთი 4 345,4 ათასი ლარი.

ასევე, მომხსენებელმა დაამატა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და დიდუბის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ამასთან დასძინა, რომ ბიუჯეტის შემოსულობების ზრდისა და ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა - ქვეპროგრამის ასიგნებები - 65 132,6 ათასი ლარით, მათ შორის ილია ჭავჭავაძის გამზირის, ო. ხიზანიშვილის, ი. ვეკუას ქუჩების და კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მუხრან მაჭავარიანი - მარშალ გელოვანის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობისათვის;

- 2018 წელს დაწყებული პროექტების დასაფინანსებლად იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია პროგრამის ასიგნება – 5 603,1 ათასი ლარით და კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 014,6 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში-ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკვერების აღსადგენად;
- სპორტული ღონისძიებები - ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, მათ შორის, ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის, კალათბურთში ევროპისა და ღია ჩემპიონატების ჩასატარებლად;
- შემოქმედებითი თბილისი - პროგრამის ასიგნებები - 120,0 ათასი ლარით, სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად.

მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა შემდეგ საკითხებს:

- ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 938 131,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით;
- შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 910 031,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი, გრანტები 51 341,5 ათასი ლარი, ხოლო, სხვა შემოსავლები 200 274,8 ათასი ლარის ოდენობით;
- არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 286 673,1 ათას ლარს, ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 63 250,3 ათას ლარს, ხოლო ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 15 410,8 ათას ლარს;
- 2019 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 47 839,5 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი;
- **პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში** კანონის ნაცვლად მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს **ორგანული კანონი. ამასთან, სასურველია მიეთითოს ამავე ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში, მეორე სართულზე არსებული 30.40 კვ.მ უძრავი ქონების, მოქალაქე ნათელა წულუკიძისთვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემას.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა საკითხის გარშემო არსებულ შემდეგ დეტალებზე:

- მოქალაქე ნათელა წულუკიძემ ქ. თბილისის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობას მიმართა და ითხოვა, შუამდგომლობის გაწევა ქ. თბილისის მთავრობასთან, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში, მეორე სართულზე არსებული 30.40 კვ.მ უძრავი ქონების პრივატიზების ფორმით, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;
- დიდუბის რაიონის გამგეობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-5 განყოფილებიდან ეცნობა, რომ ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი N189-ში (მე-2 სართულზე) 1986 წლიდან-დღემდე, ცხოვრობს მოქალაქე ნათელა წულუკიძე;
- დიდუბის რაიონის გამგეობამ ქალაქ თბილისის მერიას წარუდგინა შუამდგომლობა ნათელა წულუკიძისთვის მოქალაქის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები:

  საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; ამავე კანონის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი; აგრეთვე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი; ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

- სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში მიეთითოს „საკითხის შეთანხმების თაობაზე“ და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება და პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპირვატიზებო საფასურის მითითება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა **ირაკლი თავართქილაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუს N3-ში ბინა N11-ისა და სარდაფის, საერთო ფართით 45.00 კვ.მ მდებარე უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე ლელა ბუხრაშვილისთვის, რომელიც სანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ირაკლი თავართქილაძემ დააზუსტა დეტალები და აღნიშნა შემდეგი:

- ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქ. თბილისის მთავრობას აღნიშნული უძრავი ქონების მოქალაქე ლელა ბუხრაშვილისთვის გადაცემის თაობაზე;
- შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს, პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსის 2018 წლის 28 თებერვლის წერილის თანახმად დადასტურდა მოქალაქე ლელა ბუხრაშვილის და მისი ოჯახის წევრების აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი;
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს მიერ 2016 წლის 10 ოქტომბერს გაცემული ცნობით ირკვევა, რომ ლელა ბუხრაშვილის ოჯახის

წევრი ჟანა ღავთაძე (შვილი) 2010 წლის 8 ივნისიდან, ხოლო თეიმურაზი ღავთაძე (მეუღლე) 2012 წლის 12 ივნისიდან იმყოფება აღრიცხვაზე ზემოხსენებულ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში;

- ლელა ბუხრაშვილის მეზობლები ადასტურებენ, რომ იგი ოჯახის წევრებთან ერთად 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- მიზანშეწონილია პროექტის სამართლერივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი;

- პროექტის სათაურში არსებული ხარვეზი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით;

- პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური, სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუს N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუს № 2ა-ში მდებარე უძრავი ქონების (სართული 1, ბინა № 35, ფართი 81.25 კვ.მ.) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას მოქალაქე იამზე გვიდიანისთვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ამასთან, მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებზე:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ ქ. თბილისის მერიასთან იშუამდგომლა, ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ლილოს დასახლების IV კვარტალის კორპუს № 2ა-ში მდებარე უძრავი ქონების (ბინა №35) პრივატიზების ფორმით ერთ ლარად იამზე გვიდიანისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-4 განყოფილების ინფორმაციით, მოქალაქე იამზე გვიდიანი ნამდვილად ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული საცხოვრებელი ფართით ქ. თბილისი, ლილოს დასახლება მე-4 კვარტალი, კორპუსი 2ა, ბინა 35-ში 1996 წლიდან დღემდე; ასევე, აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია მეზობლების სანოტარო წესით გაფორმებული დასტური.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სასურველია მითითებულ იქნას შემდეგი ნორმები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 75-ე მუხლის

„დ.ა“ ქვეპუნქტი, ასევე, ამავე კოდექსის 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი;

- პროექტის სათაურში არსებული ხარვეზი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- ასევე, განკარგულების პროექტში სწორი რედაქციით უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის № 18.1036.1460 განკარგულების სათაური და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუს N5-ში მდებარე 16 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ნარგიზა უზნაძისთვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემას, ამასთან ხაზი გაუსვა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებს:

- ქ. თბილისის მერიაში წარდგენილ იქნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტალის კორპუს N5-ში მდებარე უძრავი ქონების, ნარგიზა უზნაძესთვის სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. როგორც ზემოაღნიშნული შუამდგომლობიდან ირკვევა, მოქალაქე 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ ფართში;
- მოქალაქე ნარგიზა უზნაძის დაინტერესებულ საცხოვრებელ ფართში 2001 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV

განყოფილება სამგორის გამგეობისადმი მიმართული 2018 წლის 25 ივლისის წერილით. ასევე, აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია მეზობლების სანოტარო წესით გაფორმებული დასტური.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ, მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი სელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს შემდეგი ნორმები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი, ასევე, ამავე კოდექსის 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი;
- პროექტის სათაურში არსებული ხარვეზი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს თბილისის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის N18.1037.1459 განკარგულების სათაური და ასევე, უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუს N10ა-ში, პირველ სართულზე

(საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, გლდანის დასახლება, VII მიკრორაიონი, კორპუსი N10ა-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირისთვის საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, ამასთან ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართა მოქალაქე ანა ფოცხვერაშვილმა და ითხოვა მის მიერ ქ. თბილისში, გლდანის დასახლება, VII მიკრორაიონი, კორპუსი N10ა-ში (ყოფილი 120-ე ბაგა-ბაღი) დაკავებული ფართის დაკანონება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სოხუმი"-ს კრების 2018 წლის 23 სექტემბრის №4 ოქმში მითითებულია, რომ ანა ფოცხვერაშვილი 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად იქნა გადაწყვეტილება მიღებული ანა ფოცხვერაშვილისთვის ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.
- ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების წერილობითი დასტურით, ანა ფოცხვერაშვილი ქ. თბილისში, გლდანი, მე-7 მ/რ, მე-10 კორპუსი, ბინა 12-ში ცხოვრობს 2000 წლიდან ოჯახთან ერთად;
- ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქ. თბილისში, გლდანის დასახლება, VII მიკრორაიონი, კორპუსი N10ა-ში მდებარე უძრავი ქონების ანა ფოცხვერაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს შემდეგი ნორმები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, ამავე კანონის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით

დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი;

- პროექტის სათაურში არსებული ხარვეზი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

12. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შესთავაზა, „ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადადება, მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის/შესწავლისა და დაინტერესებული პირების მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა თანხმობა განაცხადეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის გადადების საკითხს.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, მარუჯაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს: ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე უძრავი ქონების 11 პირისთვის (ოჯახისთვის) საკუთრებაში გადაცემას, ამასთან, ხაზი გაუსვა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ქ. თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის (წუგზარ გიორგობიანი, ლელა ზუმბაძე, ფარნაოზი ხუხუა, ნინელა დარსალია, ზაზა ზარიძე, შოშია გვასალია, მაია კვარაცხელია, კობა მოსიაშვილი, ზოია კვარაცხელია, გოგი კუხალეიშვილი, ნანა მანჯგალაძე) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით;
- წარმოდგენილია, ნოტარიულად დამოწმებული, მეზობლების შესაბამისი წერილობითი დასტურები, ზემოაღნიშნულ მისამართზე 2000-2003 წლებიდან, ზემოჩამოთვლილი პირების მუდმივად ცხოვრების შესახებ;
- დაინტერესებულ პირებს უფიქსირდებათ 2011 წლიდან ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარების ფაქტი, რაც დასტურდება სს „თელასი"-სა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს შესაბამისი ამონაწერის მიხედვით;
- დაინტერესებულ მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებს, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, არ უფიქსირდებათ საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე/ნივთებზე. მხოლოდ, მოქალაქე - კობა მოსიაშვილს, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, უდასტურდება საკუთრების/თანასაკუთრების უფლება: ახმეტა, სოფელ მატანში არსებულ უძრავ ქონებაზე.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების (ფართის საერთო რაოდენობა - 514.54 კვ.მ) სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად დაინტერესებულ პირთათვის გადაცემა, ამასთან, აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური (ნაცვლად „სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად)") უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა

ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების თაობაზე საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დეტალურად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით არსებულ შემდეგ გარემოებებზე:

- გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გამოყოფილ იქნა სხვადასხვა მიწის ნაკვეთები შესაბამისი პირებისათვის, მათ შორის, მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძისთვის დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთი N36, ამასთან, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგარებითი სამმართველოს მიერ, 1989 წლის 20 ივნისს, ბესიკ ჭუმბურიძის სახელზე გაცემული სამშენებლო პასპორტი N30, რომელიც უკავშირდებოდა, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, „დიდი დიღმის“ საცხოვრებელ რაიონში, N36 მიწის ნაკვეთზე (250კვ.მ.) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას;
- მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძეს, 2009 წლის 4 თებერვალს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უარი ეთქვა, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ზონაში მდებარე N36 მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაზე, იმ მიზეზით, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება დარეგისტრირებული იყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, 2009 წლის 11 მარტს, ბათილად ცნო თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის აღნიშნული გადაწყვეტილება, სარეგიტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ;
- ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაკანონების მოთხოვნის პროცესში, სარეგისტრაციო წარმოებისას გამოვლენილ იქნა ზედდება აღნიშნული უძრავი ქონების N01.10.07.003.006 და N01.10.07.003.008 საკადასტრო ერთეულებთან.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება განიკარგა აუქციონის ფორმით და ამ ეტაპზე N01.10.07.003.552 მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „სახლი დიღომში“ საკუთრებას, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა პოზიცია, მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძისათვის მის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების დარეგისტრირებაზე, საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისგან თავისუფალ, საკუთრების უფლებით არარეგისტრირებულ ტერიტორიაზე მოხვედრის შემთხვევაში.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განემარტა შემდეგი დეტალები:

1.მოცემულ საკითხზე შეჩერებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოება, განმცხადებელს მოეთხოვა კორექტირებული ნახაზის წარმოდგენა;

2.დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ექვემდებარებოდა რეგისტრაციას „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად;

3.განმცხადებელის მიერ წარმოსადგენი იყო საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის დაწესებული გადასახადი დარჩენილი ოდენობით;

4.იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ იქნებოდა აზომვითი ნახაზი, რომელიც ადგილმდებარეობით და კონფიგურაციით შესაბამისი იქნებოდა გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმსკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ გეგმაზე არსებული ნაკვეთისა და წარმოდგენილი იქნებოდა მომსახურების გადასდის დამადასტურებელი ქვითარი დარეგისტრირდებოდა ბესიკ ჭუმბურიძის საკუთრების უფლება, თუ არ იქნებოდა ზედდება უკვე რეგისტრირებულ მონაცემთან.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძემ განცხადებით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა ამასთან, მომხსენებლის მითითებით, მოქალაქემ დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: საკუთრებაში გადაცემას დაქვემდებარებული ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, იგი გადაიხდის სხვაობის არანაკლები ოდენობით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს, ხოლო თუ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას. ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ირაკლი თავართქილაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულ იქნა ქალაქ თბილისში დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქ.N35-ში არსებული 387 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მისი საბაზრო ღირებულება 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 18576 (თვრამეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის

ოდენობით. სოლო, დიდი დიღმის დასახლებაში, შ. ახალციხელის ქუჩაზე მდებარე 252 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2018 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 16380 (თექვსმეტი ათას სამასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია N01.10.07.001.052 საკადასტრო კოდის განკარგვა. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოხსენებული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

1.უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 2200 (ორი ათას ორასი) ლარი, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

2.საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა: გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 11 იანვრის N15 გადაწყვეტილებით ბესიკ ჭუმბურიძისთვის გამოყოფილი უძრავი ქონების (ნაკვეთი N36) მის საკუთრებად რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის თქმა. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ ბესიკ ჭუმბურიძე თმობს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ყველა სახის მოთხოვნას და უფლებას და პრეტენზია აღარ აქვს მასზე არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1.მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს შემდეგი ნორმები: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი;

2. მიზანშეწონილია, რომ პროექტის სათაურში მითითებულ იქნას პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმების საკითხი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

3. მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი ქალაქ თბილისის მთავრობის სათაურის მითითების ნაწილში. ასევე, ამავე პუნქტში მითითებულ იქნეს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 2200 (ორი ათას ორასი) ლარის ოდენობით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

4. ასევე, განკარგულების მე-2 პუნქტში აღინიშნოს მოქალაქე ბესიკ ჭუმბურიძის მიერ, ქ. თბილისი, დიდ დიღომში მდებარე N36-ე მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაზე მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შესაბამისი პირობა.

შესაბამისად, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო“-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ /ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა №3-ის (ფართით 30 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №8-ის (ფართით 28.89 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №4-ის (ფართით 69.53 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ, I სართულზე 58.07 კვ.მ)), შენობა-ნაგებობა №5-ის (ფართით 21.01 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №9-ის (ფართით 3.47 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №1-ის (ფართით 2.09 კვ.მ), შენობა-ნაგებობა №7-ის (ფართით 29.37 კვ.მ) და შენობა-ნაგებობა №6-ის (ფართით 33.81 კვ.მ) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობისა და ქ. თბილისის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და იამზე მაისაიას და ნონა ბაქრაძეს შორის 2017 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი **განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება,** რომლის თანახმადაც, ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, „მყიდველების“ მხრიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01.14.07.008.112 და №01.14.07.008.012 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლებოდა შეწყვეტილად.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, იამზე მაისაიას და ნონა ბაქრაძეს შორის, 2018 წლის 15 მაისს გაფორმებული შეთანხმებით, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის ვადახდის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 4 სექტემბრამდე. ვინაიდან, იამზე მაისაიამ და ნონა ბაქრაძემ არ შეასრულეს 2017 წლის 4 ოქტომბერს

გაფორმებული ხელშეკრულების ზემოაღნიშნული საპრივატიზებო პირობა, შესაბამისი ჩანაწერის საფუძველზე, ხელშეკრულება შეწყდა.

ირაკლი თავართქილაძემ დეტალურად გააცნო დამსწრე წევრებს არსებული ფაქტობრივი გარემობები:

- ქ. თბილისის მერიას განცხადებით მიმართეს იამზე მაისაიამ და ნონა ბაქრაძემ და მიუთითეს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძის მიერ ნაკისრ ვალდებულებას - 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის გადახდას 2018 წლის 4 სექტემბრამდე უზრუნველყოფდნენ შპს „მეტრო პროჟე" და შპს „მონოლითი 1" (ინვესტორები), თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში ვერ შეასრულეს და ითხოვეს უძრავი ქონების განმეორებით გადაცემა;

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ასევე მიმართეს შპს „მეტრო პროჟეს" დირექტორმა ვარუჟან ვართანიანმა და შპს „მონოლითი 1"-ის დირექტორმა თეიმურაზ ელკანიშვილმა და აღნიშნეს, რომ წარმოადგენენ „ინვესტორებს", რომელთაც ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე დაწყებული აქვთ სამშენებლო სამუშაოები, გაწიეს მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯები და წარმოადგინეს 2018 წლის 1 ივნისის „ნასყიდობის ხელშეკრულება", რომლითაც ისინი კისრულობდნენ ვალდებულებას, გადაეხადათ სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს, იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნებით, ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ/ ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს - 525 210 (ხუთას ოცდახუთი ათას ორას ათი) ლარს, ხოლო ქ. თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.137) საბაზრო ღირებულება კი ჯამში შეადგენს - 305 087 (სამას ხუთი ათას ოთხმოცდაშვიდი) ლარს.

ირაკლი თავარქილაძემ დასძინა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოხსენებული საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა. აგრეთვე, დაამატა, რომ **საპრივატიზებო** პირობებად განისაზღვრულ იქნა შემდეგი საკითხები:

1..იამზე მაისაიას და ნონა ბაქრაძის მხრიდან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ფულად

დასმარებაზე უარის თქმა და აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნისა და უფლების დათმობა.

2.ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტით ლარში) გადახდა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1.სასურველია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის პირველი პუნქტი;

2.მიზანშეწონილია, პუნქტში მითითებულ იქნეს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 155 000 (ას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

3. ასევე, განკარგულების მე-2 პუნქტში უნდა აღინიშნოს იამზე მაისაიას და ნონა ბაქრაძის მხრიდან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უარის თქმისა და აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ნებისმიერი მოთხოვნის და უფლების დათმობის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი;

შესაბამისად, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი უნდა განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ

თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ.N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების გაცვლის ფორმით პრივატიზებას.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა შემდეგ დეტალებზე:

1.2009 წლის 21 ოქტომბერს, შპს „ჟოკეი კლუბსა" და ვენერა ალიშევას შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ვენერა ალიშევამ შეისყიდა N01.10.16.004.100, N01.10.16.004.098, N01.10.16.004.097 და N01.10.16.004.099 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ჯამში 11 000 კვ. მ (ნასყიდობის ღირებულება - 1 188 320 აშშ დოლარი);

2.2011 წლის 5 მაისს, ქ. თბილისის მერიას და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს" შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, ჭავჭავაძის გამზირიდან რამიშვილის ქუჩამდე და ვერეს ხევის ახალი ავტომაგისტრალიდან თამარაშვილის ქუჩამდე დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზის და გვირაბის მოწყობის სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების შედეგად ახალი გზა გაყვანილი იქნა ვენერა ალიშევას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, 1226,78 კვ.მ ფართობზე.

3. მესაკუთრე ვენერა ალიშევა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, 2013 წლიდან, განცხადებებით მიმართავდა ქ. თბილისის მერიას;

4.2016 წლის 21 სექტემბერს ვენერა ალიშევამ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ, მატერიალური ზიანის სახით 450 527 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 89 858 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო, სასამართლო პროცესი გადადებულია მოსამზადებელ ეტაპზე, მორიგების მიზნით. ვენერა ალიშევას მორიგების ძირითად პირობას წარმოადგენს იპოდრომის დარჩენილი ტერიტორიის (გზის გარდა) განაშენიანება კოეფიციენტის გადამეტების პირობით ან მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა.

5.დღეის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები, გზის ნაწილთან ერთად, დაეგისტრირებულია ერთ საკადასტრო ერთეულად და წარმოადგენს ვენერა ალიშევას საკუთრებას.

6. ვენერა ალიშევას წარმომადგენელმა ლაშა ჯამალაშვილმა მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და გამოხატა მზადყოფნა უძრავი ქონებების გაცვლის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, უარი თქვას მის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე. ამასთან, მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა წარადგინა, გასაცვლელი მიწის ნაკვეთის, ვენერა ალიშევას საკუთრებაში N01.10.16.004.241 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 2018 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეფასებულია 6 553 570 ლარად (ობიექტი განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 6-ს (სზ-6) რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.5; K2: 2.5; K3: 0.3), ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 8520 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეფასებულია 5 887 320 ლარად (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ობიექტი განეკუთვნება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს (სსზ-1), რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.7; K2: 3.5; K3: 0.1, ხოლო 01.14.05.007.467.საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 834 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრა 665 532 ლარად (ობიექტი განეკუთვნება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს (სსზ-1), რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.7; K2: 3.5; K3: 0.1).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და მე-5 მუხლის მიხედვით“.

2.ასევე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

,,2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საპრივატიზებო პირობად განსაზღვროს: ვენერა ალიშევას (პ/ნ 033108673) მიერ თბილისის საქალაქო

სასამართლოში შეტანილ სარჩელზე (საქმე N3/7010-16) უარის თქმა. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ ვესერა ალიშევა (პ/ნ 033108673) თმობს სარჩელში სადაოდ გამსდარ საკითხთან დაკავშირებით ყველა სახის მოთხოვნას და უფლებას (მათ შორის, ზიანის, და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე) და პრეტენზია აღარ აქვს მასზე არც ქონებრივი, არც უფლებრივი თვალსაზრისით."

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებას.

ირაკლი თავართქილაძემ მოცემული საკითხის, დამსწრე პირებისათვის, უკეთ გაცნობის მიზნით, ისაუბა შემდეგ გარემოებებზე:

- შპს ,,ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის" დირექტორმა განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას შესაბამისი უძრავი ქონების მონაცვლეობის წინადადებით. კომპანიის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 10 265 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, სადაც, კომპანიის დირექტორის განმარტებით, დაგეგმილი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების აშენება, თუმცა აღნიშნული გააპროტესტა მომიჯნავედ მცხოვრებმა მოსახლეობამ.
- მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ტერიტორიისთვის სარეკრეაციო სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, მიიჩნევენ, რომ

კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის ნაწილი არის მათ მიერ გამწვანებული და წლების განმავლობაში ხდებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მათ მიერ ნერგების დარგვა და გამწვანების სამუშაოების წარმოება.

- კომპანიის მენეჯმენტმა, მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებით, მზადყოფნა გამოთქვა, დათმოს მისთვის სასურველი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც გამწვანებულ სივრცედ განვითარების შესაძლებლობის მქონე არეალად განიხილავს მოსახლეობა. **სანაცვლოდ კი ითხოვა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ არსებული 1590 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;**

- ამასთან, კომპანია მიიჩნევს, რომ ტერიტორიის გამიჯვნის შემდგომ მის საკუთრებაში დარჩენილი ტერიტორიის შემცირება არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი გარემობა ამ დარჩენილი ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისთვის, სადაც ასევე გათვალისწინებულია აუქციონით გათვალისწინებული პირობების შესრულება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნიეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის და არქიტექტურის სამსახურის პოზიციის წინასწარ გათვალისწინება. მხოლოდ ამ უწყებების დადებითი პოზიციის შემთხვევაში მიიჩნიეს მიზანშეწონილად უძრავი ქონების გაცვლა.

- ასევე აღნიშნეს, რომ მერიისთვის შეთავაზებული ტერიტორიის თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა კომპანიისთვისაც არ იქნება ხელისშემშლელი გარემოება ზემოაღნიშნული სააუქციონო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის და კომპანიის საკუთრებაში დარჩენილ ტერიტორიაზე შეასრულებენ ამ აუქციონის პირობებს. ასევე აღნიშნეს, რომ თუ მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება კომპანიის უძრავი ქონების ღირებულებას, კომპანია გადაიხდის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს. ხოლო, თუ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებათ არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ;

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პოზიცია ეთხოვა მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო კომპანიის მიერ შემოთავაზებული ტერიტორიის გადმოცემის შემთხვევაში, კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი ტერიტორიის განვითარება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა აუქციონით განსაზღვრული პირობების შესრულება. ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი 6426 კვ.მ მიწის ნაკვეთის განვითარება სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) ფარგლებში, რომელიც დაადგენს ფუნქციურ ზონებს და განვითარებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურას, რის შემდგომაც სამსახურს მიეცემა საშუალება განიხილოს ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების საკითხი.

- კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი 6426 კვ.მ მიწის ნაკვეთის, გრგ-ს ფარგლებში განვითარებასთან დაკავშირებით, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიცია მისაღებად მიიჩნია კომპანიამ და მზადყოფნა გამოთქვა, შეასრულოს სააუქციონო პირობები. ასევე თანხმობა განაცხადა, მონაცვლეობის პროცედურები დაიწყოს და განხორციელდეს მანამდე, სანამ მის საკუთრებაში არსებული 6426 კვ.მ მიწის ნაკვეთის გრგ-ს ფარგლებში სამშენებლო განვითარების საკითხები შეთანხმდება მერიის შესაბამის სამსახურებთან.

- ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური, შესაბამის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში, შესაძლებლად უშვებს კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის გაყოფის შედეგად კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებას, ხოლო, კომპანიის მხრიდან წარმოდგენილია თანხმობა და პირობა, მისი ტერიტორიის ნაწილის გაცვლის შემთხვევაშიც - უზრუნველყოს სააუქციონო პირობების მისი მხრიდან შესრულება;
- ქ. თბილისის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს საკითხის დაკმაყოფილებას და მოთხოვნილი უძრავი ქონების კომპანიისთვის გადაცემას, კომპანიის ტერიტორიიდან გამოყოფილი და ცალკე საკადასტრო ერთეულად დარეგისტრირებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების სანაცვლოდ. აღნიშნული შესაძლებელს გახდის, მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში განხილულ იქნეს თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებული ტერიტორიის სარეკრეაციო სივრცედ განვითარების საკითხი;

- სსიპ - ღიღვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნით, ქალაქ თბილისში ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 3839 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **2 091 143 ლარის** ოდენობით (ობიექტი განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 6-ს (სზ- 6), რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.5; K2: 2.5; K3: 0.1), ხოლო, ქ. თბილისში ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ არსებული 1590 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების საბაზრო ღირებულება 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **1 793 810 ლარის ოდენობით**. შემდგომში წარდგენილი 2018 წლის 13 დეკემბრის დასკვნით, აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2018 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **1 860 300 ლარის ოდენობით** (ობიექტი განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 5-ს (სზ- 5), რომლის კოეფიციენტებია: K1: 0.5; K2: 2.1; K3: 0.1).

ირაკლი თავართქილაძემ მოხსენების დასასრულისკენ დასძინა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი შენიშვნები:

1. პროექტის სათაურში, ,,გაცვლის ფორმით პრივატიზება" მოხსენიებულია ორჯერ შესაბამისად უნდა გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

2. ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესი, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებისა და მე-5 მუხლის მიხედვით".

3.განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 127² მუხლის მე-3 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და „ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის" (ს/კ: 405190742) პირდაპირი

განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებითა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 31 ივლისის №ბ 61.01182125 ბრძანებით, ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ. მ. მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, წლიური საიჯარო ქირის საფასურის - 16 700 (თექვსმეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით, გადაეცა შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯია“-ს, ღია კაფეს განთავსების მიზნით, 2022 წლის 1 მაისამდე ვადით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართა შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 31 ივლისის №ბ.61.01182125 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაცვლად, 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად.

ამასთან, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, განხილულ იქნას, ქ. თბილისში, ტაბიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაცვლად მოთხოვნილი 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 6 800 (ექვსი ათას რვაასი) ლარის ოდენობით (ქირის ოდენობასთან დაკავშირებით მხედველობაში მიღებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 8 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 6 720 ლარით).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1.მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122[1] მუხლის მე-6, მე-8, მე-9 პუნქტები_და მათ ნაცვლად მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი;

2. აგრეთვე, კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა შემდეგი: ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ხდება გადაცემული ქონების ფართის შემცირება და შესაბამისად, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური ოდენობის საფასურის ცვლილებაც, მიზანშეწონილია, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გაიწეროს არამხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის №170 განკარგულების პირველი პუნქტის ცვლილების საკითხი, არამედ, ზემოხსენებული ცვლილება, ასევე, ასახულ უნდა იქნას განკარგულების სათაურსა და მე-2 პუნქტში.

ამასთან, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ ზემოაღნიშნულ შენიშვნებთან დაკავშირებით, კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე მომზადებულ დასკვნას დაერთვება დანართის სახით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა შემდეგი დეტალების შესახებ:
1.სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა სს „დი ენდ ბი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2035 წლის 1 ივნისამდე. ამასთან, კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, QN643233 განცხადებით, კვლავ მიმართა სააგენტოს და ითხოვა ზემოაღნიშნული, 64 კვ. მ. მიწის ნაკვეთის ნაცვლად შემცირებული ფართის - 40,36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა.

2.სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27გ-ში მდებარე 187.16 კვ.მ. ფართს (ს/კ: №01.10.15.007.005), 2035 წლის 1 ივნისამდე.

3. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, თავდაპირველად, დაინტერესებაში არსებული 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 9 216 ლარით. ხოლო, გადასაცემი, 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 5 760 ლარით.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფეს მოწყობის მიზნით საყვავილეების და საჩრდილობლის კონსტრუქციის მოწყობა, მოქმედი კანონმდებლობის დაცვის პირობით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების (40 კვ. მ. მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით სს „დი ენდ ბი საქართველო“-სთვის გადაცემა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის ოდენობად, შესათანხმებლად წარმოდგენილია წლიური 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის <u>პირდაპირი განკარგვის წესით</u> სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ: 404917131) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა **თამარ ტალიაშვილმა**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, განათლების და კულტურის კომისიის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი, „სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო **სკოლის დირექტორმა ბატონმა** თენგიზ გულორდავამ და ამავე საჯარო **სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ** ქალბატონმა ნანი ჭანტურიამ წერილობით მომართეს ქ. თბილისის საკრებულოს, სსიპ - ქალაქ თბილისის №106 საჯარო **სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე** ქ. თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემის თხოვნით.

ამასთან, **მომხსენებელმა** დასძინა, **რომ** სსიპ - ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, ამავე სკოლის დირექციამ, მიმართა ინიციატივით სსიპ - ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე, რომელიც სამეურვეო საბჭომ 2018 წლის 5 ივლისის **სხდომაზე** განიხილა და მისცა დადებითი შეფასება.

ქალბატონმა **თამარ ტალიაშვილმა** დადებითად შეაფასა, სსიპ - ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე საკითხი **და** დაამატა, **რომ** საქართველოს ეროვნული გმირი (მიენიჭა 2013 წელს), სამხედრო მფრინავი ზურაბ იარაჯული, რომელიც აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას, 1993 წელს გუმისთის ტყეში მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისას გმირულად დაიღუპა, 1977-88 წლებში სწავლობდა აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, **რომ** წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1. პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, ნაცვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა უნდა მიეთითოს ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი;

2. ასევე, სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი;

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21-32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შემუშავებული ქ. თბილისის საკრებულოს შემდეგი განკარგულების პროექტები:

1. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ;
2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის №115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე;

11. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ;
12. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის №297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალბატონმა თინათინა ნიბლოშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს, დეტალურად მიაწოდა, წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებთან დაკავშირებით, არსებული შემდეგი ინფორმაცია:

1.სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ, წარედგინა მოქალაქე ნინო ჩოხელის განცხადება, ე.წ. აფრიკის დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით. კომისიამ საკითხის განხილვისას, აღმოაჩინა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ცაცა ამირეჯიბის II შესახვევთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება, შესაბისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში, გაგრძელდეს ცაცა ამირეჯიბის II შესახვევი;

2. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას წერილობით მიმართა მოქალაქე დავით ბიჭიკაშვილმა და წარდგენილი საკადასტრო ერთეულების მიხედვით, ითხოვა უსახელო ქუჩების სახელდებას. ხოლო, კომისიამ საკითხის შესწავლის შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ცხრა შესახვევს მიენიჭოს ცაცხვების სახელი;

3. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მიერ წარდგინა, მოქალაქე ლუკა ქოქიაური წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, უსახელო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით;

4. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მიერ წარედგინა, მოქალაქე გივი ალიხანაშვილი წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, სოფელ ნასაგურში უსახელო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით. საკითხის შესწავლის შემდგომ, კომისიამ, უსახელო ქუჩის აფხაზეთის ქუჩასთან ახლო მდებარეობის გამო, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ;

5. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მიერ წარედგინა, მოქალაქე ლეილა ჭუმბურიძე წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ. კომისიამ, საკითხის შესწავლის შემდეგ, აღმოაჩინა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ოქროყანაში, სატყეო ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება, ქუჩასთან განვითარებულია ერთი შესახვევი, შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს სატყეოს სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

6. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მიერ, წარედგინა, მოქალაქე ლაშა ბერიკაშვილის წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, სოფელ დიღომში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ, კომისიამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, აღმოაჩინა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს ძველი ვეძისის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს, შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

7. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ წარედგინა, მოქალაქე გაიანე ვირაბიანის წერილობითი თხოვნა, კ.სანაძის II ჩიხის მიმდებარედ უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ. კომისიის მიერ, საკითხის შესწავლის შემდეგ, აღმოჩენილ იქნა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს კორნელი სანაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს სანაძის ქუჩის ჩიხს, შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

8. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მეირ წარედგინა, მოქალაქე თენგიზ ელიზბარაშვილის წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, სამგორის რაიონში, უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

კომისიას ასევე წარედგინა მოქალაქე ბაკურ კანდელაკის წერილი, თბილისის რომელიმე ქუჩისთვის, სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების თხოვნით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიამ აღნიშნული საკითხების შესწავლის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ოთხ გასასვლელს და ერთ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელი;

9. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მიერ წარედგინა, მოქალაქე მიხეილ გაბუნიას წერილობითი თხოვნა, შესაბამისი საკადასტრო ერთეულის მიხედვით, დაბა კოჯორში უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ; კომისიას ასევე მიმართა მოქალაქე ნუნუ ქოსაძე-ანდრონიკაშვილმა და ითხოვა, კოჯორში რომელიმე უსახელო ქუჩისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ კომისიის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, **კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს ეკატერინე ჩოლოყაშვილის** (იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის და და მუდმივად განიცდიდა შევიწროვებას საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან) სახელი;

10. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 4 მაისს N115 განკარგულებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე განახორციელა ტაბახმელაში არსებული უსახელო ქუჩისთვის მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭება. საქმისწარმოების პროცესში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურიდან 2018 წლის 9 მარტს გამოთხოვილ იქნა ქუჩის განვითარების სიტუაციური ნახაზი, მასალების დამუშავების პერიოდისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებში, გზას არ კვეთდა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ხსენებულ საკითხზე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომა ჩატარდა მ/წლის 23 აპრილს, რის შემდგომაც განხორციელდა ქუჩის სახელდება. მოგვიანებით გაირკვა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 18 იანვრის N№-525 მოწმობის საფუძველზე ბ.მ. ამხანაგობა "ატრიუმ"-ის სასარგებლოდ გაცემული იყო საკუთრების უფლება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვის თანადროულად. ვინაიდან, ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მუხლი 2-ის თანახმად, სახელდება დაუშვებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო #115 განკარგულების დანართის მომზადების დროს, დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის სარვეზი და ქუჩის განვითარების არეალში მოექცა ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას.

მომხსენებლის მითითებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ხსენებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

11. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, წერილობით მიმართა, სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ გიორგი ტაბატაძემ და ითხოვა სოფ. ტაბახმელაში მოქალაქე თეიმურაზ გეთიას შესაბამის უძრავ ქონებასთან გამავალი უსახელო ქუჩის სახელდება. ხოლო, კომისიამ საკითხის შესწავლის შემდეგ გაარკვია, რომ მიმდებარე ქუჩები ატარებს იუნკერთა სახელებს და მიზანშეწონილად მიიჩნია, უსახელო ქუჩას მიერნიჭოს იუნკერის, შტაბის კაპიტნის, 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე დაღუპული ბესარიონ კემულარიას სახელი.

12. 2018 წლის 11 სექტემბერს № 297 განკარგულიებით თბილისის საკრებულომ დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიანიჭა აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელი. განკარგულების მომზადების პროცესში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ ა) პუნქტში ნაცვლად ჩანაწერისა „დიდუბის რაიონში" ჩაიწერა „საბურთალოს რაიონში". მომხსენებლის მითითებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ იმსჯელა ხსენებული ტექნიკური სასიათის სარვეზის გასწორებაზე და საჭიროდ ჩათვალა ა) პუნქტში არსებული ჩანაწერი „საბურთალოს რაიონში" შეიცვალოს ჩანაწერით „დიდუბის რაიონში".

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულებების პროექტების პირველ პუნქტში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22) ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომსსენებლის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22) ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით ირინე ჟვანიასთვის პრივატიზების თაობაზე საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ირინე ჟვანიამ და აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობით მიღებული, ქ. თბილისში დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩის ბოლოში 594 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 2008 წლის 11 აპრილს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მემკვიდრეობის საფუძველზე, მის საკუთრებაში დარეგისტრირდა. ამასთან, ისაუბრა, მოცემულ საკითხთან დაკავშირირებით არსებულ შემდეგ დეტალებზე:

- ირინე ჟვანიამ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ამონაწერთან ერთად მოითხოვა მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და წარადგინა აზომვითი ნახაზი. ხოლო, სამსახურმა, მიღებული გადაწყვეტილებით შეაჩერა რეგისტრაცია და ირინე ჟვანიას განუსაზღვრა, დამატებით წარედგინა კორექტირებული აზომვითი ნახაზი, რადგან მის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ზედდებაში ხვდებოდა საჯარო რეესტრში უკვე რეგისტრირებულ ნაკვეთთან. გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების თაობაზე ირინე ჟვანიას მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, კანონიერ ძალაშია ის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სარეგისტრაციო ჩანაწერი, რომლებიც განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ადასტურებენ, რომ ირინე ჟვანიას მემკვიდრეობის უფლების რეგისტრაციამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო არველოდი ჟვანიას საკუთრების უფლება, დაბა წყნეთში, სტალინის ქუჩის ბოლოს მდებარე 594 კვ.მ N18 მიწის ნაკვეთზე და არველოდი ჟვანიას საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი არ გაუქმებულა და ნაკვეთი რაიმე ფორმით არ გასხვისებულა. უზენაესი სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტში სახეზე იყო დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოშობილი სხადასხვა პირის საკუთრების უფლება, რომელთა მიმართაც მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. მათგან ერთ-ერთის დაზუსტებული მონაცემების რეგისტრირებამ გამორიცხა მეორე პირის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემების დარეგისტრირება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განჩინების თანახმად, საკასაციო პალატამ ირინე ჟვანიას საკუთრების უფლების რეალიზების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია საქმეში, სავალდებულო მოწვევით მესამე პირად ჩაერთო ქ. თბილისის მერია, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ხვდებოდა დაბა წყნეთის ტერიტორია (გარდაბნის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლე). საკასაციო პალატამ ქ. თბილისის მერიას და ირინე ჟვანიას შესთავაზა მორიგება მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე. მიუხედავად საკასაციო პალატის მცდელობისა, მიეღწია მხარეთა მორიგებისათვის ირინე ჟვანიამ უარი

განაცხადა მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე, რომელიც შეთავაზებული იქნა ქ. თბილისის მერიის მიერ. საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული ირინე ჟვანიას საკასაციო საჩივარი და სხვაგვარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

- ასევე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ინფორმაცია რეგისტრაციისგან თავისუფალ ტერიტორიაზე მოხვედრის შემთხვევაში დარეგისტრირდებოდა თუ არა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში №01.20.01.117.002 კოდით რეგისტრირებული 594 კვ.მ მიწის ნაკვეთი ირინე ჟვანიას საკუთრებაში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში თუ არ დაფიქსირდებოდა ზედდება უკვე რეგისტრირებულ ნაკვეთთან ადგილმდებარეობის კუთხით, მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტება შესაძლებელი იქნებოდა.

- ირინე ჟვანიამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და გამოხატა თანხმობა სააგენტოს მიერ შეთავაზებული უძრავი ქონების მისთვის გადაცემაზე იმ პირობით, თუ გამოვლინდებოდა ფასთა სხვაობა №01.20.01.117.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და №01.14.08.011.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მის მიერ გადახდილი იქნება აღნიშნული სხვაობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ მიწის ნაკვეთის ღირებულებას, აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ არ ექნება პრეტენზია.

ირაკლი თავართქილაძემ დააზუსტა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური საორიენტაციოდ შეადგენს 170 400 ლარს, ხოლო, ირინე ჟვანიას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება, 2018 წლის 19 ივნისის დასკვნის მიხედვით, არის 174 636 ლარი.

მოხსენების დასასრულისკენ, ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია №01.14.08.011.173 საკადასტრო კოდის განკარგვა, ხოლო, ქ. თბილისის მთავრობამ, შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მიზანშეწონილია, პროექტის სათაურში მითითებულ იქნას პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმების საკითხი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;

2. ამასთან, განკარგულების მე-2 პუნქტში უნდა აღინიშნოს მოქალაქე ირინე ჟვანიას მიერ, ქ. თბილისში №01.20.01.117.002 საკადასტრო კოდით მდებარე მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაზე მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შესაბამისი პირობა და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. შესაბამისად, განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი განისაზღვროს მე-3 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

ფრაქციების: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ევროპული საქართველო"-ს წევრმა ელენე ოზაშვილმა თავი შეიკავეს, წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი